



**უნისონი**

სადაზღვევო კომპანია

**ავტომობილის მართვასთან  
დაკავშირებული  
სამოქალაქო პასუხისმგებლობის  
დაზღვევის პირობები**

**MOTOR THIRD LIABILITY INSURANCE CONDITIONS**

დეკონირებული  
ხელშეკრულების #:

N221548316

# ავტოტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

## MOTOR THIRD LIABILITY INSURANCE CONDITIONS

### 1. დაზღვევის საგანი:

- 1.1. წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევის საგანს წარმოადგენს: - ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის და ან მართვის უფლების მქონე ნებისმიერი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, წარმოშობილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას.
- 1.2. დაზღვევა ფარავს უფლებამოსილი მძღოლის მიერ, პოლისში მითითებული ავტომობილის მართვისას, მესამე პირის ჯანმრთელობის, სიცოცხლესა და ან ქონებაზე მიყენებულ ზიანს.
- 1.3. წინამდებარე პირობებისაგან განსხვავებული ნებისმიერი პირობა სავალდებულო წესით მითითებული უნდა იქნეს სადაზღვევო პოლისში.
- 1.4. დამზღვევის განაცხადი და სადაზღვევო პოლისი წინამდებარე პირობების განუყოფელი ნაწილია. სადაზღვევო პოლისისა და ამ პირობების დებულებებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დებულებებს. სადაზღვევო განაცხადში მითითებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად თუ განაცხადში მითითებული ინფორმაცია არასწორი ან არაზუსტია ანაზღაურება არ გაიცემა.

### 2. ტერმინთა განმარტება:

- 2.1. **დაზღვევის ობიექტი** - სადაზღვევო პოლისში მითითებული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობა.
- 2.2. **მძღოლი** - სადაზღვევო პოლისში (განაცხადში) მითითებული, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის უფლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და რომელი გაცემულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,
- 2.3. **დაზარალებული (მესამე პირი)** - პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და/ან ქონებას მიადგა ზიანი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს და/ან მისი მონაწილეობით, რომელიც მიიჩნევა

### 1. Subject of Insurance:

- 1.1. Subject of Insurance under these Conditions shall be: - third party liability of the vehicle owner or person authorized to drive the vehicle;
- 1.2. This insurance shall cover damages to health, life and property of third parties caused by reason of the authorized driver while driving the vehicle indicated in the Policy.
- 1.3. Any provisions other than these Conditions shall be indicated in the Insurance Policy.
- 1.4. The Insured's application and the Insurance Policy shall be the integral part hereof. In the event of collision between the Insurance Policy and the provisions of these Conditions, provisions of the Insurance Policy shall prevail. The Insured shall be responsible for information provided in the insurance application. Therefore, no payments will be made in case of incorrect or inaccurate information provided in the application.

### 2. Definitions:

- 2.1. **Subject of Insurance** – third party liability of the person indicated in the Insurance Policy.
- 2.2. **Driver** – individual authorized to drive the insured vehicle indicated in the policy (application), having driving license of relevant category issued in accordance of applicable legislation of Georgia.
- 2.3. **Damaged/Injured (Third Party)** – individual

დაზარალებულად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების საფუძველზე, ასევე მისი მემკვიდრე ან კანონიერი წარმომადგენელი, გარდა პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრებისა;

**2.4. მზღვეველი** – სს „სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ (ს/კ 404393152), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას;

**2.5. დამზღვევი** – ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება სადაზღვევო ხელშეკრულება და პასუხისმგებელია შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე;

**2.6. სადაზღვევო შემთხვევა (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა)** – საავტომობილო გზაზე, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ მიმდებარე ტერიტორიაზე ავტო-სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და/ან მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც ზიანი მიადგა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და/ან ქონებას;

**2.7. საავტომობილო გზა** – მყარი საფარის მქონე მაკავშირებელი სავალი ზოლი, რკინიგზისა და ასაფრენ დასაფრენი ზოლის გარდა, რომელიც ღიაა საერთო მოძრაობისათვის და უმთავრესად განკუთვნილია საკუთარი თვლებით გადაადგილებადი საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისათვის, მათ შორის, ხიდები, გვირაბები, მზიდი კონსტრუქციები, გზათა გადაკვეთები, გზაჯვარედინები, გზათა განშტოებები, ტროტუარები და გვერდულები (მათი არსებობისას);

**2.8. დაზღვევის ტერიტორია** – წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა)

**2.9. სადაზღვევო პოლისი (შემდგომში „პოლისი“)** – დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე პირობებს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**2.10. ფრანშიზა** – ( არანაზღაურებადი მინიმუმი) თანხის ოდენობა, რომელიც არ ანაზღაურდება მზღვეველის მიერ და აკლდება ასანაზღაურებელ თანხას.

**2.11. სადაზღვევო თანხა (ლიმიტი)** – სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე – მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;

whose life, health and/or property was damaged during movement of the vehicle and/or with the involvement of the vehicle and who is considered as damaged/injured on the basis of liabilities created as a result of damages stipulated under Georgian legislation, as well as the successor or legal representative of such damaged/injured, except for the driver and passengers of the vehicle indicated in the Policy;

**2.4. Insurer** – JSC Insurance Company Unison (company code 404393152), conducted insurance activities in accordance with Georgian legislation;

**2.5. Insured** – physical person being a party to the insurance agreement, responsible for payment of the insurance premium;

**2.6. Insurance Accident (car accident)** – event on the road, as well as in the adjacent area designated for vehicle movements, during movement of the vehicle or with the vehicle's involvement, during which the individual's life, health and/or property were damaged.

**2.7. Road** – connecting passage lane with solid surface, except for the railway and landing or takeoff runway, open for common movements and primarily designated for vehicles moving with own wheels, including bridges, tunnels, support structures, road crossings, crossroads, road branching, sidewalks and sideways (if any);

**2.8. Insurance Area** – insurance under these Conditions shall apply only on the territory of Georgia (except for occupied territories).

**2.9. Insurance Policy (hereafter the Policy)** – document confirming the insurance, attached to these Conditions as an integral part hereof.

**2.10. Deductible - (non-reimbursable minimum)** – amount not subject to reimbursement by the Insurer to be deducted from the amount payable under the insurance.

- 2.12. მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი** - უდრის პოლისში განსაზღვრული სადაზღვევო თანხას გამოკლებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უკვე ანაზღაურებული ზარალ(ებ)ის ჯამური თანხა.
- 2.13. სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს/მოსარგებლეს წინამდებარე პირობების საფუძველზე;
- 2.14. სადაზღვევო პრემია (შემდგომში „პრემია“)** - სადაზღვევო შესატანის ოდენობა, რომელსაც იხდის ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი (დამზღვევი);
- 2.15. მინდობილობა** - ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო ფლობა/განკარგვასთან დაკავშირებული უფლების რეალიზაციას
- 2.16. გამოუმუშავებელი პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

### 3. დაზღვევას არ ექვემდებარება:

- 3.1.** პასუხისმგებლობა, წარმოშობილი ისეთ ქონებრივ ზიანზე, რომელიც დაზღვეულის საკუთრებაშია ან/და არის გადაცემული დაზღვეულისათვის დროებით სარგებლობაში (მინდობილობით)
- 3.2.** დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მგზავრების წინაშე დამდგარი პასუხისმგებლობა რომელმაც გამოიწვია გარდაცვალება, ან ჯანმრთელობის გაუარესება.
- 3.3.** ზიანი, რომელიც მესამე პირების წინაშე წარმოიშვა კომერციული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას მაგ:: ტაქსი, სამარშუტო ტაქსი, ავტომობილების გაქირავება;
- 3.4.** ზიანი, რომელიც მესამე პირების წინაშე წარმოიშვა ისეთი ავტოსატრანსპორტის მართვისას, რომელიც გადატვირთულია (არ შეესაბამება მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ სტანდარტს), ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (Off-road, Test Drive);

### 4. დაზღვევის ტერიტორია. სადაზღვევო თანხები. პრემია. ფრანშიზა. დაზღვევის მოქმედების ვადები

- 4.1.** სადაზღვევო რისკები, დაზღვევის ტერიტორია, სადაზღვევო თანხები, პრემია (წლიური სადაზღვევო ტარიფი, პრემიის ოდენობა, გადახდის წესი), ფრანშიზა

**2.11. Insurance Amount (Limit)** – maximum amount of reimbursement – maximum limit of the Insured’s liability;

**2.12. Current Insurance Limit** – insurance amount under the Policy minus total amount of loss(es) already reimbursed during the insurance period.

**2.13. Reimbursement** – amount, property or service owed to the Insured/Beneficiary by the Insurer on the basis of these Conditions;

**2.14. Insurance Premium (hereafter the Premium)** – amount of insurance premium to be paid by the owner of the vehicle (Insured);

**2.15. Power of Attorney** – document evidencing authorization associated with driving the vehicle, which implies exercise of the right in connection with ownership/disposal of the vehicle.

**2.16. Unearned Premium** – by the specific date during the insurance period, amount of premium proportional to the period of time remaining until expiration of the insurance period.

### 3. Insurance shall not cover:

**3.1.** Liability for the damage of property owned by the Insured and/or transferred to the Insured under temporary ownership (under Power of Attorney).

**3.2.** Liability of passengers of the insured vehicle which caused death or health issues.

**3.3.** Damage of third parties while driving commercial vehicles, e.g. taxi, vehicle rent;

**3.4.** Damage of third parties while driving overloaded vehicles (against manufacturer standards) or used under irrelevant road conditions (Off-road, Test Drive);



განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში.

- 4.2.** პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.
- 4.3.** დამზღვევის მიერ პოლისში მითითებულ ვადაში და ოდენობით პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, ამგვარი დარღვევიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა გამოასწოროს დარღვევა და სრულად დაფაროს გადასახდელი პრემია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდგომ მზღვეველი თავისუფლდება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან დამზღვევისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული 14 (თოთხმეტი) დღის გასვლის შემდგომ, მზღვეველი უფლებამოსილია ერთი თვის ვადის დაცვით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება/გააუქმოს პოლისი და მოსთხოვოს დამზღვევს როგორც პრემიის დავალიანების გადახდა, ასევე მიყენებული ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურება. ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა). თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო, მზღვეველის მხრიდან გაცემულია დამზღვევზე (მოსარგებლებზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. სხვა შემთხვევაში (უზარალო სადაზღვევო პერიოდი ხელშეკრულების შეწყვეტამდე), დამზღვევი ვალდებულია სრულად დაფაროს ხელშეკრულების შეწყვეტამდე დარიცხული პრემია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
- 4.4.** დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, დამზღვევს დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილი (დამზღვევის მხრიდან ასეთის უკვე გადახდილის შემთხვევაში), რომელსაც გამოაკლდება მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10%. ხოლო, თუ

#### **4. Insurance Area, Insurance Amounts. Premium. Deductible. Term of Insurance.**

- 4.1.** Insurance risks, insurance area, insurance amounts, premium (annual insurance tariff, amount of premium, terms of payment), deductible shall be defined in the Insurance Policy.
- 4.2.** The Insurer shall be released from its obligations until timely payment of the first or one-time premium.
- 4.3.** In the event of failure by the Insured to pay the premium within the period and in the amount as indicated in the Policy, the Insured shall, no later than 14 (fourteen) calendar days from such breach, remedy the breach and pay the premium due in full. Failure to do so, the Insurer shall be released from the obligation to pay reimbursement for the Insurance Accident after expiration of such term, without any additional notification to the Insured. Besides, the Parties agree that upon expiration of such 14 (fourteen) days period, the Insurer shall be entitled to terminate this Agreement / Policy with one month notice and request the Insured to pay the premium due as well as reimbursement of incurred damage (if any). In the event of non-payment of one-time or regular insurance premium under agreed terms and conditions, the Insurer shall have the right to charge the Insured with penalty 0.1% of the amount due, for each day of delay, not to exceed the total insurance premium provided under the Policy. If, as a result of insurance accident occurred during the insurance period before expiration of the agreement, the Insurer has provided reimbursement to the Insured (Beneficiary), the Insured shall fully pay the annual premium provided under relevant Policy, within 5 (five) business days from the date of termination of the agreement. In other cases (break-even insurance period before termination of the agreement), the Insured shall fully pay the premium accrued before expiration of the agreement within 5 (five) business days from

სადაზღვევო პრემია არ არის გადახდილი და დამზღვევის ინიციატივით ხდება დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა, დამზღვევს გამოუმუშავებული პრემიის გარდა პირგასამტეხლოს სახით წარმოეშვება მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10%-ის ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულება, მაგრამ არაუმეტეს სრული სადაზღვევო პრემიისა. იმავდროულად დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის მომენტში, მიუხედავად უზარალო სადაზღვევო პერიოდისა, თუ დამზღვევს წარმოშობილი აქვს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემიის გამოუმუშავებული ნაწილის გადახდის ვალდებულება, მაშინ დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება (დავალიანების დაფარვა) ხელშეკრულების შეწყვეტამდე. მაგრამ დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგად, მზღვეველის მხრიდან გაცემულია დამზღვევზე (მოსარგებლზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემია სრულად, ხოლო თუ შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემია, დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის მომენტში, უკვე სრულად დაფარულია, მაშინ მას (დამზღვევს), მზღვეველის მხრიდან გამოუმუშავებელი პრემიის ოდენობა უკან არ დაუბრუნდება.

**4.5.** წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პრემია შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს/შემცირდეს) სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ შეიცვლება ავტომობილის გამოყენების მიზანი, დაემატება/გამოაკლდება სადაზღვევო რისკები, დაემატებიან/გამოაკლდებიან უფლებამოსილი მძღოლები და ა.შ..

**4.6.** დაზღვევის ვადა აღინიშნება პოლისში. დაზღვევა იწყება პოლისში აღნიშნული დაზღვევის ვადის პირველი დღის 24 საათიდან და სრულდება პოლისში აღნიშნული დაზღვევის ვადის ბოლო დღის 24 საათზე.

## 5. დაზღვეული რისკები

**5.1.** დამზღვევის/დაზღვეულის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვისას წარმოქმნილი სადაზღვევო შემთხვევა, რომლის დროსაც ზიანი მიადგა მესამე პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და/ან ქონებას;

the date of termination.

**4.4.** In case of early termination of insurance at the initiative of the Insured, the remainder of the unearned insurance premium shall be returned to the Insured (if already paid by the Insured), minus 10% of the total insurance premium. If the insurance premium has not been paid and the insurance is prematurely terminated at the initiative of the Insured, the Insured shall be obliged to pay the penalty in amount of 10% of the total insurance premium, but no more than a full insurance premium. By the time of termination of the insurance at the Insured's initiative, despite break-even insurance period, if the Insured is obliged to pay the earned portion of the premium under relevant Policy, the Insured shall immediately fulfill such obligation (payment of the amount due) before termination of the agreement. However, in case of premature termination of insurance at the initiative of the Insured, if the reimbursement has been provided by the Insurer to the Insured (Beneficiary) as a result of an Accident, the Insured shall fully pay the premium under relevant Policy, and if such premium under relevant Policy has already been fully paid by the time of premature termination of insurance at the initiative of the Insured, the unearned premium shall not be returned to the Insured by the Insurer.

**4.5.** Pursuant to this Agreement and legislation of Georgia, the premium may be amended (increased/reduced) during the insurance period in case of changes to the purpose of vehicle usage, added/removed insurance risks or authorized drivers etc.

**4.6.** Term of the insurance shall be the period indicated in the Insurance Policy.

## 5. Risks Insured

**5.1.** Accidents occurred while driving the vehicle by the Insured which caused damage to third party life, health and/or property;

**5.2.** დაზარალებული პირისთვის გადასახდელი კომპენსაცია, რომელიც დაეკისრა დამზღვევს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, პოლისის ლიმიტის ფარგლებში ;

**5.3.** სასამართლოს გარეშე მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ მისი ოდენობა და გარემოებები მზღვეველთან წერილობით იქნება შეთანხმებული და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ შეთანხმებული ანაზღაურების მიღების შემდგომ, მას არ ექნება არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

**5.4.** დამატებითი სასამართლო ხარჯები არაუმეტეს სადაზღვევო თანხის/პასუხისმგებლობის ლიმიტის 20%-ისა.

## **6. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა**

**6.1.** სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მას შემდეგ, რაც მოხდება:

- 1) სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის ოდენობის დადგენა;
- 2) ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრა
- 3) სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენა და მხარეთა მიერ მისი ხელმოწერა.

**6.2.** სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის/ანაზღაურების ოდენობა ფრანშიზის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოკლებით გამოანგარიშდება შემდეგი წესით: მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომისათვის სადაზღვევო ანაზღაურება ანგარიშდება პოლისში განსაზღვრული, მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლებში შემდეგი ლიმიტის პროცენტების (ან ქველიმიტის, თუ ასეთს ითვალისწინებს პოლისი) შესაბამისად:

- ა) მკურნალობისათვის საჭირო თანხები, პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში;
- ბ) შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა – 100%
- გ) გარდაცვალების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ლიმიტის 100%-ით.
- დ) თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად რამდენიმე პირი დაზარალდა, სადაზღვევო ანაზღაურება თითოეულს ცალ-ცალკე მიეცემა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, თითოეულის დაზიანების ხარისხის პროპორციულად;
- ე) დოკუმენტურად დადასტურებული

**5.2.** Compensation to be paid to the injured/damaged, charged to the Insured through valid court decision, within the limits of the Policy;

**5.3.** Compensation for damages to third parties without court decision, if the amount of such compensation and relevant circumstances are agreed with the Insurer in writing and the damaged/injured provides written confirmation of waiver of any claims upon the receipt of the agreed compensation;

**5.4.** Additional court expenses not exceeding 20% of the insurance amount/liability limit.

## **6. Volume of Damages and Insurance Reimbursement**

**6.1.** Reimbursement shall be paid upon the occurrence of the following:

- 1) identification of accident and volume of damages;
- 2) definition of the format and amount of reimbursement;
- 3) drawing up of the Accident Act and signing by the parties.

**6.2.** Amount of compensation/reimbursement minus deductible (if any) payable without court decision shall be calculated through the following procedure: reimbursement for liability of the Insured for damages to life, health or property of third parties shall be calculated in accordance with following percentage limits (or sub-limits if provided for in the Policy), within the Insurer's liability under the Policy:

- a) amounts necessary for medical treatment, within the limits of the Policy;
- b) evident restriction of fitness for work – 100%
- c) in case of death, 100% of the liability limit.
- d) In case of damage to several persons as a result of the accident, reimbursement shall be paid to each of such person individually, considering the nature of damage, within maximum limit of the Insurer's liability, in



ხელფასი(შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის გამო, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 1(ერთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;

**6.3. ქონების დაზიანების შემთხვევაში** – ზიანის ოდენობა ანგარიშდება მზღვეველის შესაბამისი ექსპერტის/სპეციალისტის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში; იმავდროულად, თუ დამზღვევის მიერ მე-3 პირზე მიყენებული ზიანის გამო, მზღვეველის მიერ (მისი პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში) მოხდა ზარალის ანაზღაურება დაზიანებული ქონების ღირებულების სრული ოდენობით, მაშინ დაზარალებული მე-3 პირი ვალდებულია მზღვეველს გადასცეს განადგურებულ ნარჩენ ქონებაზე საკუთრების უფლება. გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზა, ასეთის არსებობის შემთხვევაში და წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი, რომელიც დამზღვევს აქვს გადასახდელი მზღვეველისათვის.

**6.4.** მზღვეველი განახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზარალებულ მესამე პირზე ან მის მემკვიდრეზე;

**6.5.** არ ანაზღაურდება დაზარალებული მესამე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;

**6.6.** თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მიყენებული ტრავმის შედეგად დაზარალებულს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (ინვალიდობა) ან დაზარალებული გარდაიცვალა, სადაზღვევო ანაზღაურება გადაანგარიშდება ადრე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების გამოკლებით.

**6.7.** თუ ერთი და იგივე დაზღვეულ ავტოტრანსპორტის გამოყენების შედეგად დამდგარ ზარალზე სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია, ყოველ მომდევნო შემთხვევაზე ანაზღაურება გაიცემა მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

## **7. გამონაკლისები, რომელთა ანაზღაურება არ მოხდება თუ:**

**7.1.** ავტოტრანსპორტს მართავდა ალკოჰოლური,

proportion to the degree of each separate damage;

**e)** documented salary (income) lost by the damaged/injured due to complete or partial limitation of fitness for work, but not more than total income received during the period of 1 (one) year before the accident;

**6.3. In case of damage to the property** – amount of damage shall be determined on the basis of calculations prepared by the Insured's relevant expert/specialist, within maximum limit of the Insurer's liability; At the same time, if, due to the damage to third party by the Insured, the Insurer reimbursed damages (within the limit of its liability) in full value of the damaged property, the damaged/injured third party shall transfer ownership over the remaining destroyed property to the Insurer. Deductible under the Policy (if any) shall be subtracted from the payable reimbursement, together with the remainder of the annual premium paid by the Insured to the Insurer.

**6.4.** The Insurer shall pay reimbursement to the damaged/injured third party or its successor;

**6.5.** Worsened health / death of third parties shall not be reimbursed if occurred after expiration of 12 calendar months from the date of the accident;

**6.6.** If, after the vehicle accident, the damaged/injured person was assigned the status of person with limited ability (disability) due to the injury incurred during the insurance period, or in case of death of the damaged/injured person, amount of reimbursement shall be calculated excluding reimbursement previously paid.

**6.7.** If the reimbursement has already been paid for damages caused as a result of usage of the same insured vehicle, reimbursement for each subsequent occurrence shall be paid within the current limit of insurance.

## **7. Exceptions not subject to reimbursement, if:**



ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ან ისეთი სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტოტრანსპორტის მართვასთან;

- 7.2. ავტოტრანსპორტს მართავდა მართვის 1 წლამდე გამოცდილების ან/და მართვის უფლების ან მოცემული კატეგორიის ავტოტრანსპორტის მართვის უფლების არ მქონე პირი;
- 7.3. ავტომობილი გამოიყენება მგზავრების გადაყვანის (ტაქსი) მიზნებისათვის;
- 7.4. ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას ან რომელსაც დროულად არ გაუვლია სავალდებულო (ასეთი მოთხოვნის არსებობისას) ტექნიკური დათვალიერება, აგრეთვე იმ ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას, რომელსაც გააჩნია გაუმართაობები, რომელთა არსებობისას აკრძალულია მოძრაობა საგზაო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 7.5. ავტომობილი გამოიყენება ხდება შეუსაბამო საგზაო პირობებში;
- 7.6. ზარალი გამოწვეულია მძღოლის თვითმკვლელობის მცდელობით;
- 7.7. ზარალი გამოწვეული ავტოტრანსპორტის რბოლებში და სხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით;
- 7.8. ზარალი გამოწვეული სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირება (რადიაციული, ატომური, ბირთვული);
- 7.9. ზარალი გამოწვეული საომარი მოქმედებებით, ტერორისტული აქტით;
- 7.10. არ ანაზღაურდება დამზღვევის/დაზღვეულის ქონებაზე დამდგარი ზარალი.
- 7.11. ზარალი გამოწვეულია საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით
- 7.12. ზარალი მიყენებულია დაზღვეული პირის ქონებისთვის;
- 7.13. ზარალი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეულის ავტომობილით;
- 7.14. მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა დამზღვევის/დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული);
- 7.15. სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირტის

7.1. the vehicle was driven by the individual under influence of alcohol, psychotropic substances, drugs or such medications which are in counter indication with driving vehicles;

- 7.2. the vehicle was driven by individual with driving experience up to 1 year, and/or having no driving licence, or license for driving the given category of vehicle;
- 7.3. the vehicle is used for transportation of passengers (taxi);
- 7.4. during operation of the vehicle with technical defects or which failed to pass the mandatory technical inspection (if any) timely, as well as during operation of vehicles with faults under which operation is prohibited pursuant to traffic safety laws of Georgia;
